

## ტიპობრივი საგამოცდო ტესტები კლინიკურ ჰემატოლოგიაში

### 1. ჩამოთვლილთაგან რომლებია ახალგაზრდა ერითროციტები:

/// მეგალოციტები;

// რეტიკულოციტები;

/// მიკროციტები;

/// სამიზნისმაგვარი ერითროციტები.

### 2. რას გულისხმობს ტერმინი “ნეიტროფილოზი მარცხნივ გადახრით”:

// ნეიტროფილების ახალგაზრდა ფორმების მომატებას;

/// ნეიტროფილების ახალგაზრდა ფორმების შემცირებას;

/// მწიფე ნეიტროფილების მომატებას;

/// მწიფე ნეიტროფილების შემცირებას.

### 3. ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორი იწვევს ედს-ის მკვეთრ მომატებას:

// სისხლში გლობულინის რაოდენობის მომატება;

/// ერითროციტების რაოდენობის მომატება;

/// ლეიკოციტების რაოდენობის მკვეთრი მომატება;

/// თრომბოციტების რაოდენობის მკვეთრი მომატება.

### 4. ჩამოთვლილთაგან რომელ დაავადებას ახასიათებს ედსი-ის დაქვეითება:

/// ვიტ. B12 დეფიციტურ ანემიას;

// ერითრემიას;

/// მიელომურ დაავადებას;

/// მწვავე ლეიკემიას.

5. ჩამოთვლილთაგან, რომელ დაავადება ახასიათებს მაღალი ლეიკოციტოზი გრანულოციტოზით, ნეიტროფილების მარცხნივ გადახრით მიელობლასტამდე და განსაკუთრებით მიელოციტების რაოდენობის მკვეთრი მომატება:

/// მწვავე ლეიკემიას;

// ქრონიკული მიელოლეიკემიას;

/// ქრონიკული ლიმფოციტურ ლეიკემიას;

/// აპლაზიურ ანემიას.

6. ჩამოთვლილთაგან რომელი დაავადების დროს აღინიშნება განსაკუთრებით მაღალი ლეიკოციტოზი:

/// პნევმონია;

/// ჩირქოვანი აპენდიციტი;

// ქრონიკული მიელოლეიკემია;

/// სეფსისი.

7. რა ტიპის ანემია ვითარდება ყველაზე ხშირად რკინის დეფიციტის დროს:

// ჰიპოქრომული, მიკროციტული;

/// ჰიპოქრომული, მაკროციტული;

/// ჰიპერქრომული, მიკროციტული;

/// ნორმოქრომული რეტიკულოციტოზით.

8. პაციენტს პერიფერიულ სისხლში გამოუვლინდა ჰიპოქრომული, მიკროციტული ანემია. რომელ დაავადებებს შორის უნდა გატარდეს დიფერენციალური დიაგნოზი:

/// რკინადეფიციტური – და B12 დეფიციტური ანემიები;

// რკინადეფიციტური ანემია და თალასემია;

/// რკინადეფიციტური ანემია და მიკროსფეროციტოზი;

/// რკინადეფიციტური და აპლაზიური ანემიები.

9. რა უნდა განისაზღვროს პირველ რიგში რკინადეფიციტური ანემიისა და თალასემიის დიფერენცირებისათვის:

/// სისხლში ფოლიუმის მჟავას შემცველობა;

/// სისხლში ვიტ. B12-ის შემცველობა;

// სისხლში რკინის შემცველობა;

/// სისხლში კალციუმის შემცველობა.

10. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც წლების განმავლობაში აღენიშნება ჭარბი მენსტრუაცია, უჩივის მუდმივად დაღლილობის შეგრძნებას, შრომისუუნარობას. აღენიშნება კანის სიმშრალე, თმების ცვენა და ფრჩხილების დეფორმაცია, გაუთავებლად ჭამს ოხრახუმს. პერიფერიული სისხლის ანალიზი ნორმის ფარგლებშია. რა გამოკვლევის ჩატარებას ურჩევდით პაციენტს ზემოთაღნიშნული ჩივილების მიზეზის დასადგენად:

/// კალციუმის განსაზღვრას;

// რკინის განსაზღვრას;

/// კალიუმის განსაზღვრას;

/// ნატრიუმის განსაზღვრას.

11. ჩამოთვლილთაგან, რომელი გამოკვლევის ჩატარებაა აუცილებელი დიაგნოზის დასაზუსტებლად, პერიფერიულ სისხლში ჰიპოქრომული, მიკროციტული ანემიის გამოვლენის შემთხვევაში:

/// ძვლის ტვინის ციტოლოგიური ანალიზი;

/// ძვლის ტვინის ჰისტომორფოლოგიური ანალიზი;

// შრატის რკინის გამოკვლევა;

/// ერიტროციტული ფერმენტების გამოკვლევა.

12. ჩამოთვლილ სინდრომთაგან, რომელი ახასიათებს რკინის დეფიციტს:

/// პლეთორის;

/// ჰეპატო-ლიენალური;

/// დსშ;

// სიდეროპენიური.

13. რომელი დაავადებისთვისაა დამახასიათებელი ე.წ სიდეროპენიური სინდრომი:

/// ვიტ. B12 დეფიციტური ანემია;

/// აპლაზიური ანემია;

/// თალასემია;

// რკინადეფიციტური ანემია.

14. ახალგაზრდა ქალს, რომელსაც წლების განმავლობაში აღენიშნება ჭარბი მენსტრუაცია, გამოუვლინდა ე.წ სიდეროპენიური სინდრომი. რის განსაზღვრას ურჩევდით პაციენტს სისხლში:

/// კალიუმის;

/// კალციუმის;

// რკინის;

/// ვიტ. B12-ის;

15. რა ხანგრძლივობისაა რკინადეფიციტური ანემიის მკურნალობის კურსი:

/// 1 თვე;

/// 2 თვე;

/// 3 თვე;

// მკურნალობის ვადა წინასწარ განუსაზღვრელია.

16. 60 წლის მამაკაცს, რომელსაც 5 წლის წინ ჩაუტარდა კუჭის რეზექცია, განუვითარდა: საერთო სისუსტე, კოორდინაციის დარღვევა, პარასთეზიები, დიარეა, პერიფერიულ სისხლში გამოვლინდა ღრმა ჰიპერქრომული მაკრო-მეგალოციტური ანემია, ლეიკოპენია, თრომბოციტოპენია. ჩამოთვლილთაგან რომელი დაავადებაა ყველაზე უფრო შესაძლებელი:

*/// რკინადეფიციტური ანემია;*

*/// აპლაზიური ანემია;*

*// ვიტ. B12 დეფიციტური ანემია;*

*/// მწვავე ლეიკემია.*

17. ჩამოთვლილთაგან რა წარმოადგენს ანემიის განვითარების მიზეზს ორგანიზმში ვიტ. B12 დეფიციტის დროს:

*// დნმ-ს სინთეზის დარღვევა;*

*/// ჰემოგლობინის სინთეზის დარღვევა;*

*/// ერითროციტების სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება;*

*/// გლობინის ჯაჭვების სინთეზის დარღვევა;*

18. ჩამოთვლილთაგან პერიფერიული სისხლის რა ცვლილებებია დამახასიათებელი ვიტ. B12 დეფიციტური ანემიისთვის:

*// მაკროციტოზი, მეგალოციტოზი, მაღალი ედსი;*

*/// მაკროციტოზი. მეგალოციტოზი, დაბალი ედსი;*

*/// მიკროციტოზი, მაღალი ედსი;*

*/// მიკროციტოზი, დაბალი ედსი;*

**19. ჩამოთვლილთაგან რომლებია ვიტ. B12 დეფიციტური ანემიის კლინიკური გამოვლინებები:**

/// სისუსტე, გლოსიტი, სისხლჩაქცევები;

/// სისუსტე, სიყვითლე, სისხლჩაქცევები;

// სისუსტე, გლოსიტი, პასესთეზიები;

/// სისუსტე, გლოსიტი, ტკივილები ძვლებში.

**20. ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი ანემიის დროს არის ფერადობის მაჩვენებელი ნორმის ფარგლებში:**

/// ვიტ. B12 დეფიციტური;

/// რკინადეფიციტური;

/// თალასემია;

// მწვავე ჰემოლიზური.

**21. დაავადებათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება თალასემია:**

/// ენზიმოპათიები (ფერმენტოპათიებს);

/// მემბრანოპათიები;

// ჰემოგლობინოპათიები;

/// აუტოიმუნურ ჰემოლიზური ანემია.

**22. რომელი 4 სიმპტომი ვლინდება ერთდროულად ჰემოლიზური ანემიის დროს:**

/// ანემია, ცხელება, სიყვითლე, არაპირდაპირი ბილირუბინემია;

/// ანემია, რეტიკულოციტოზი, სისხლდენა, არაპირდაპირი ბილირუბინემია;

/// ანემია. რეტიკულოციტოზი, სიყვითლე, პირდაპირი ბილირუბინემია;

// ანემია, რეტიკულოციტოზი, სიყვითლე, არაპირდაპირი ბილირუბინემია.

**23. ჩამოთვლილთაგან რომელი ანემია მიეკუთვნება მემკვიდრეობით მემბრანოპათიებს:**

/// თალასემია;

/// ვიტ. B12 დეფიციტური ანემია;

// მიკროსფეროციტოზი;

/// ფერმენტ გლუკოზო-6ფდ დეფიციტი

**24. ქვემოთჩამოთვლილი დარღვევებიდან, რომელი წარმოადგენს მემკვიდრეობითი მიკროსფეროციტოზის პათოგენეზს:**

// ერითროციტების მემბრანის ცილების დეფექტი;

/// ერითროციტული ფერმენტის დეფიციტი;

/// ჰემის სინთეზის მოშლა;

/// გლობინის ჯაჭვების დეფიციტი.

**25. ჩამოთვლილი მონაცემებიდან, რომელი ადასტურებს აუტოიმუნური ჰემოლიზური ანემიის დიაგნოზს:**

/// ძვლის ტვინში წითელი შტოს ჰიპერპლაზა;

/// არაპირდაპირი ბილირუბინის მომატება;

// კუმბსის დადებითი რეაქცია;

/// ფეტალურო ჰემოგლობინის მომატება.

26. 16 წლის ვაჟმა, ვირუსული გრიპის გამო ორი დღის განმავლობაში მიიღო პარაცეტამოლი, მესამე დღეს განუვითარდა საერთო სისუსტე, სკლერების სიყვითლე დაგამოყო მოშავო ფერის შარდი. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ მემკვიდრულ დაავადებაზე მიიტანთ ეჭვს:

/// მიკროსფეროციტოზი;

/// ოვალოციტოზი;

// ფერმენტოპათია;

/// თალასემია.

27. რა არის ლეიკემია:

/// ლეიკოციტების მომატება;

/// ძვლის ტვინის აპლაზია;

// ძვლის ტვინის უჯრედების სიმსივნური დაავადება;

/// ლეიკოციტების მკვეთრი შემცირება.

28. რას ეფუძნება ლეიკემიების კლასიფიკაცია:

// სიმსივნის სუბსტრატს;

/// სიმსივნის ლოკალიზაციას;

/// დაავადების კლინიკურ გამოვლინებას;

/// დაავადების მიმდინარეობას.

29. რომელი უჯრედები შეადგენენ სიმსივნის სუბსტრატს მწვავე ლეიკემიის დროს:

// უმწიფარი ბლასტური;

/// მწიფებადი გრანულოციტები;

/// მწიფე და მწიფებადი გრანულოციტები;

/// მწიფე ნეიტროფილები.



**30. ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება ლიმფოიდურ ლეიკემიებს:**

/// ქრონიკული მიელოლეიკემია;

/// ერითრემია;

/// ქრონიკული მონოციტური ლეიკემია;

// ქრ. ლიმფოციტური ლეიკემია.

**31. ჩამოთვლილთაგან რომელი უჯრედები შეადგენენ სიმსივნის სუბსტრატს ქრონიკული მიელოლეიკემია დროს:**

/// ბლასტური;

/// მწიფე და მწიფებადი გრანულოციტები;

/// ლიმფოციტები;

/// ერითროციტები.

**32. ჩამოთვლილთაგან, რომელი ლაბორატორიული მონაცემები ადასტურებს საბოლოოდ ქრ. მიელოლეიკემიის დიაგნოზს:**

/// ბლასტური უჯრედების გამოვლენა;

/// მაღალი ლეიკოციტოზი;

/// ეოზინოფილურ-ბაზოფილური ასოციაცია;

// ფილადელფიური ქრომოსომის გამოვლენა.

**33. ჩამოთვლილი სინდრომებიდან, რომელი ახასიათებს ერითრემიას (პოლიციტემიას):**

/// სიდეროპენიური;

// პლეთორის;

/// ანემიური;

/// ჰეპატო-ლიენალური.

**34. ჩამოთვლილთაგან, პერიფერიული სისხლის რომელი ცვლილება ახასიათებს ქრონიკულ ლიმფოციტურ ლეიკემიას:**

*/// პანციტოპენია;*

*// ლეიკოციტოზი და აბსოლიტური ლიმფოციტოზი;*

*/// ლეიკოციტოზი და ლიმფობლასტები;*

*/// პანციტოპენია.*

**35. ჩამოთვლილთაგან, რომელი უჯრედები წარმოადგენენ სიმსივნის სუბსტრატს მიელომური დაავადების დროს:**

*/// ლიმფობლასტები;*

*/// მიელობლასტები;*

*// პლაზმური უჯრედები;*

*/// მიელოციტები.*

**36. ჩამოთვლილთაგან რომელი ცვლილებაა დამახასიათებელი მიელომური დაავადებისათვის:**

*/// ხუთივე იმუნოგლობულინის მომატება;*

*/// რამდენიმე იმუნოგლობულინის მომატება;*

*/// ხუთივე იმუნოგლობულინის დაქვეითება;*

*// ერთ-ერთი იმუნოგლობულინის მომატება და დანარჩენის დაქვეითება.*

**37. ჩამოთვლილთაგან რა ახასიათებს მიელომურ დაავადებას:**

*/// პროტეინურია ძლიერი შემუპებით;*

*// პროტეინურია შემუპების გარეშე;*

*/// შემუპება პროტეინურიის გარეშე;*

*/// პროტეინურია არ ახასიათებს.*

**38. ჩამოთვლილთაგან რომელი გამოკვლევის ჩატარებაა აუცილებელი ლიმფომის დიაგნოზის დასადასტურებლად დაავადების I-IV სტადიაში:**

*/// ლიმფური კვანძის ციტოლოგიური ანალიზი;*

*/// სისხლის საერთო ანალიზი;*

*/// ძვლის ტვინის ციტოლოგიური ანალიზი;*

*// ლიმფური კვანძის იმუნოჰისტოქიმიური ანალიზი;*

**39. რომელი გამოკვლევა ადასტურებს საბოლოოდ ჰოჩკინის ლიმფომის დიაგნოზს:**

*/// პერიფერიული სისხლის უჯრედების იმუნოფენოტიპირება;*

*/// ძვლის ტვინის უჯრედების იმუნოფენოტიპირება;*

*/// ლიმფური კვანძის ციტოლოგიური ანალიზი;*

*// ლიმფური კვანძის იმუნოჰისტოქიმიური ანალიზი.*

**40. რა ეწოდება ძვლის ტვინის უჯრედების სიმსივნურ დაავადებებს:**

*/// ერითრემია;*

*// ლეიკემია;*

*/// მიელომა;*

*/// მიელებია.*

41. 25 წლის ახალგაზრდა ქალს მოულოდნელად გამოუვლინდა ლაქოვანი სისხლჩაქცევები მთელ ტანზე, აღენიშნა ცხელება და ტკივილები ძვლებში. ყბისქვეშა და კისრის ლიმფური კვანძები გადიდებული იყო. პერიპერიული სისხლის ანალიზში გამოვლინდა ზომიერი ანემია, ლეიკოციტოზი და თრომბოციტოპენია, ლეიკოგრამაში – ბლასტური უჯრედები 20%, რომელ დაავადებაზე მიიტანდით ეჭვს:

/// ლიმფოციტური ლეიკემია;

// მწვავე ლეიკემია;

/// აპლაზიური ანემია;

/// აუტოიმუნური თრომბოციტოპენიური პურპურა.

42. 65 წლის მამაკაცს აღენიშნებოდა სიმძიმის შეგრძნება მარცხენა ფერდქვეშა არეში, წონაში მკვეთრი დაკლება. აღმოჩნდა 200მმ-მდე გადიდებული ელენთა. პერიფერიული სისხლის ანალიზში ლეიკოციტები –  $B120,0 \cdot 10^9/l$ . ლეიკოგრამაში ნეიტროფილოზი მარცხნივ გადახრით მიელობლასტამდე, მათ შორის მიელოციტები – 18%. ჩამოთვლილ ცვლილებებიდან რა არის ყველაზე უფრო შესაძლებელი:

/// ძვლის ტვინში მეგალობლასტების გამოვლენა;

/// ძვლის ტვინში პლაზმური უჯრედების მომატება;

// ფილადელფიური ქრომოსომის გამოვლენა;

/// ძვლის ტვინში მაღალი ლიმფოციტოზი.

43. ქვემოთჩამოთვლილი რომელი დაავადებისათვის არის დამახასიათებელი ე.წ ფილადელფიური ქრომოსომა:

/// მწვავე ლეიკემია;

/// ერითრემია;

/// ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია;

// ქრონიკული მიელოლეიკემია.

44. ჩამოთვლილთაგან რომელ დაავადებას ახასიათებს პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტოზი და აბსოლიტური ლიმფოციტოზი დაავადების ყველა სტადიაში:

/// მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია;

// ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია;

/// არაჰოჩკინის ლიმფომა;

/// ჰოჩკინის ლიმფომა.

45. ჩამოთვლილთაგან რომელი ლეიკემიის დროს შეადგენს სიმსივნის სუბსტრატს პლაზმური უჯრედები:

/// მწვავე ლეიკემია;

/// მიელოლეიკემია;

// მიელომური დაავადება;

/// ერითრემია.

46. 45 წლის მამაკაცს რამდენიმე წლის განმავლობაში აღენიშნებოდა რადიკულიტური ტიპის ტკივილები. პერიოდულად მკურნალობდა ნევროპათოლოგთან – უშედეგოდ. რენტგენოლოგიურად ხერხემლის წელის მალეზე გამოვლინდა დესტრუქციული უბნები. პირველ რიგში რომელი ჰემატოლოგიური დაავადების გამოიცხვას ასეთ შემთხვევაში აუცილებელი:

/// ლიმფომა;

// მიელომური დაავადება;

/// მიელოლეიკემია;

/// ლიმფოლეიკემია.

47. 52 წლის ქალს საერთო სისუსტის გამო გაუკეთდა სისხლის საერთო ანალიზი, სადაც გამოვლინდა ზომიერი ნორმოქრომული ანემია და მაღალი ედს-ი. მიუხედავად კომპლექსური ანტიანემიური მკურნალობისა დინამიკაში ანემია არ სწორდებოდა და ასევე აუხსნელი რჩებოდა სტაბილურად მაღალი ედს-ის მიზეზი. რომელ ჰემატოლოგიურ დაავადებაზე მიგვითითებს აღნიშნული მდგომარეობა:

/// აპლაზიური ანემია;

/// მიელოლეიკემია;

// მიელომური დაავადება;

/// თალასემია.

48. რომელი ჰემატოლოგიური დაავადებაა სავარაუდო, როცა პაციენტს აღენიშნება ტკივილები ძვლებში, ანემია და მაღალი ედსი, პროტეინურია და ჰიპერპროტეინემია:

/// არაჰოჩკინის ლიმფომა;

/// მიელოლეიკემია;

/// მწვავე ლეიკემია;

// მიელომური დაავადება.

49. 56 წლის ქალბატონს აღენიშნებოდა 2 X 2სმ-მდე გადიდებული, უმტკივნეულო, მკვრივი კონსისტენციის ლავიწხედა ლიმფური კვანძი. უჩიოდა ცხელებას, ოფლიანობას, კანის ქავილს, პერიფერიულ სისხლში გამოვლინდა მაღალი ედსი, ეოზინოფილია, ლიმფოპენია. ჩამოთვლილთაგან რომელი დაავადებაა ყველაზე უფრო სავარაუდო:

/// ინფექციური მონონუკლეოზი;

// ჰოჩკინის ლიმფომა;

/// ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია;

/// მწვავე ლიმფობლასტური ლეიკემია;

50. 2 წლის ბიჭს უმნიშვნელო ტრამვის შემდეგ განუვითარდა ძალიან დიდი ზომის ჰემატომა მუხლის სახსარში. ჩამოთვლილთაგან რომელ დაავადებაზე მიიტანდით ეჭვს პირველ რიგში:

// ჰემოფილია;

/// თრომბოციტოპენიური პურპურა;

/// გლანცმანის თრომბასტენია;

/// რანდიუ-ოსლერის დაავადება

51. 25 წლის ახალგაზრდა ქალს, ვირუსული გრიპის შემდგომ მთელ სხეულზე განუვითარდა პეტეჩიალურ-ლაქოვანი ტიპის სისხლჩაქცევები, აღენიშნა ღრძილებიდან სისხლდენაც. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე უფრო შესაძლო დიაგნოზი:

// აუტოიმუნური თრომბოციტოპენიური პურპურა;

/// ჰემოფილია;

/// ჰემორაგიული ვასკულიტი;

/// რანდიუ-ოსლერის დაავადება.

52. ჩამოთვლილთაგან რომელ დაავადებას ახასიათებს VIII ფაქტორის მემკვიდრეობითი დეფიციტი:

/// თრომბოციტოპენიური პურპურა;

/// გლანცმანის თრომბასტენია;

// ჰემოფილია;

/// რანდიუ-ოსლერის დაავადება.

53. ჩამოთვლილთაგან რომელ დაავადებას ახასიათებს ჰემორაგიული დიათეზის ე.წ ჰემატომური ტიპი:

/// თრომბოციტოპენიური პურპურა;

/// ჰემორაგიული ვასკულიტი;

/// ოსლერის დაავადება;

// ჰემოფილია.

**54. ჩამოთვლილთაგან რომელ დაავადებას ახასიათებს ჰემორაგიული დიათეზის ე.წ პეტეჩიალურ-ლაქოვანი ტიპი:**

// თრომბოციტოპენიური პურპურა;

/// ოსლერის დაავადება;

/// ჰემოფილია.

/// ჰემორაგიული ვასკულიტი;

**55. ჩამოთვლილთაგან რომელი დაავადებისთვისაა განსაკუთრებით დამახასიათებელი სისხლდენის დროს (დიუკეს ტესტი) გახანგრძლივება:**

// თრომბოციტოპათიები.

/// ჰემოფილია;

/// ტელეანგიექტაზია;

/// ჰემორაგიული ვასკულიტი;

**56. ჩამოთვლილთაგან რომელი დაავადებისთვისაა განსაკუთრებით დამახასიათებელი სისხლის შედედების დროს (ლი და უაიტი) გახანგრძლივება:**

// ჰემოფილია;

/// თრომბოციტოპათიები.

/// ჰემორაგიული ვასკულიტი;

/// ოსლერის დაავადება;

**57. ჩამოთვლილთაგან რომელი დაავადება მიეკუთვნება მემკვიდრეობით თრომბოციტოპათიებს:**

// გლანცმანის დაავადება;

/// ჰემოფილია;

/// ჰემორაგიული ვასკულიტი;

/// თრომბოციტოპენიური პურპურა;



**58. ჩამოთვლილ პაციენტთაგან რომელს გამოიკვლევდით ექვით ჰემოფილიაზე:**

/// ქალები ჭარბი მენსტრუაციით;

/// ბიჭები ხშირი ცხვირიდან სისხლდენით;

// ბიჭები ჰემატომური სისხლჩაქცევებით;

/// ბიჭები მთელ ტანზე პეტეჟიალურ-ლაქოვანი სისხლჩაქცევებით

**59. რას წარმოადგენს ანემიის განვითარების ძირითად მიზეზს ლეიკემიების დროს:**

/// ერითროციტების გაძლიერებული დაშლა;

/// სიმსივნური ინტოქსიკაცია;

/// სისხლდენები;

// ძვლის ტვინში ერითროიდული შტოს სიმსივნური უჯრედებით ჩანაცვლება

(მეტაპლაზია)

**60. ჩამოთვლილთაგან რისი განსაზღვრაა მნიშვნელოვანი სიმპტომური ერითროციტოზისა და ერითრემიის დიფერენცირებისათვის:**

/// შრატის რკინა;

/// ბილირუბინი;

// ერითროპოეტინი;

/// ერითროციტების დიამეტრი.

**61. ჩამოთვლილთაგან რომელ დაავადებებს ახასიათებს რეტიკულოციტოზი:**

/// რკინადეფიციტური ანემია;

/// აპლაზიური ანემია;

// ჰემოლიზური ანემია;

/// ვიტ. B12 დეფიციტური ანემია.

**62. ჩამოთვლილთაგან რომელ დაავადებებს ახასიათებს ანემია, ლეიკოპენია და თრომბოციტოპენია ერთად:**

/// რკინადეფიციტური ანემია;

// აპლაზიური ანემია;

/// ქრონიკული მიელოლეიკემია.

/// ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემია;

**63. ჩამოთვლილთაგან რომელ ანემის ახასიათებს ფეტალური ჰემოგლობინის მომამეტება**

/// რკინადეფიციტური;

/// ვიტ. B12 დეფიციტური;

/// აპლაზიური;

// თალასემია.

**64. ჩამოთვლილთაგან როგორი ერითროციტები ვლინდება ვიტ. B12 დეფიციტური ანემიის დროს:**

/// მცირე ზომის;

// განსაკუთრებით დიდი ზომის;

/// სამიზნისმაგვარი;

/// მიკროსფეროციტები.